საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 106

05 03 2014 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2014 წლის 17 იანვრის №29 ბრძანებაში ,,მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2014 წლის 17 იანვრის №29 ბრძანებაში ,,მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდგომი შინაარსის 1^1 პუნქტი:

,,1^1. დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან 2014 წლის 5 მარტს ელექტრონულ პორტალზე დაარეგისტრირონ ადგილები იმ დაწესებულების სტუდენტებისთვის, რომელსაც 2014 წელს გაუვიდა ავტორიზაციის ვადა."

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდგომი შინაარსის 2^1 პუნქტი:

,,2^1. ამ ბრძანების 1^1 პუნქტში მითითებული სტუდენტებისთვის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2014 წლის 10 მარტი, არაუგვიანეს 18:30 საათისა."

გ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდგომი შინაარსის 3^1 პუნქტი:

,,3^1. ამ ბრძანების 1^1 პუნქტში მითითებულ პირთათვის დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტების ცენტრში წარმოდგენის ვადაა 2014 წლის 12 მარტი."

2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციას (სამსახური) ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის, მათ შორის, ცენტრის ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი ელენე ჯიბლაძე